სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 ივლისი, 2024 წ.

ბრძანება N 01-02/107

,,2024-2025 სასწავლო წლისთვის მინიოს, ევორას და ავეიროს უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს სტუდენტების, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 02 მაისის №01-02/59 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული „ERASMUS+ PEERS" საგრანტო პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 01 ივლისის N784546 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება და დამატება ,,2024-2025 სასწავლო წლისთვის მინიოს, ევორას და ავეიროს უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს სტუდენტების, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 02 მაისის №01-02/59 ბრძანებაში, კერძოდ, **ბრძანების პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   ,,1. 2024-2025 სასწავლო წლისთვის „ERASMUS+" გაცვლითი პროგრამის, „PEERS" ფარგლებში პორტუგალიის უნივერსიტეტებში (მინიოს, ევორას და ავეიროს) საერთაშორისო მობილობაში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი** და განისაზღვროს შემდეგი **ვადები და კრიტერიუმები:**

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის (განსაზღვრული ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით) წარდგენა ელექტრონულად, ბმულზე - https://inqueritos.reitoria.uminho.pt, 2024 წლის **02 მაისიდან - 31 მაისამდე;**

ბ) ინგლისურ ენის ტესტირებაში მონაწილეობის მსურველ პირთა განცხადებების (სტუდენტებისათვის - ბსუ-ს სტუდენტურ პორტალის, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისათვის - საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის eflow-ის მეშვეობით) მიღება -2024 წლის 22 მაისი, 15:00 საათამდე;

გ) ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში - **2024 წლის 24 მაისი,** 11:00 საათი, ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი (№4 კორპუსი, მისამართი: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12, ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო/ბსუ-ს სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);

დ) კონკურსში მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ გადაგზავნა ,,ERASMUS+PEERS" ჯგუფისათვის;

ე) კონკურსანტების დოკუმენტაციის ,,ERASMUS+PEERS" ჯგუფის მიერ პირველადი გადარჩევა და ბსუ-სათვის გადმოგზავნა, შემდგომი შეფასებისათვის (შეფასების კრიტერიუმები, ვადები და წესები იგზავნება ERASMUS+PEERS" ჯგუფის ოფიციალური წერილის სახით);

ვ) ,,ERASMUS+PEERS" ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონკურსანტების შეფასება - 2024 წლის 09 ივლისს, 14:00 საათზე, **ბსუ-ს საკონკურსო კომისიის** მიერ, შემდეგი შემადგენლობით: 1. მერაბ ხალვაში - თავმჯდომარე, რექტორი; 2. ანზორ ბერიძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე; 3. თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე; 4. ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი; 5. მარინე გიორგაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი; 6. ხათუნა ხაბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

ზ) კონკურსანტთა შეფასებების გადაგზავნა ,,ERASMUS+PEERS" ჯგუფისათვის -2024 წლის 12 ივლისი;

თ) გამარჯვებული კონკურსანტების შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება ,,ERASMUS+PEERS" პროექტის ადმინისტრირების ჯგუფის მიერ.".

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს -ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**